პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 252 (3229)

29 დეკემბერი, 1966 წ. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

## ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში საზეიმოდ გაიხსნა მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი • გაიმართა კენჭისყრა

## ფუშინ...

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სარკეებიან დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის ვაჟთა 34-ე საჭადრაკო ჩემპიონატი. შეკრებილთ მოკლე შესავალი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. სირაძემ.

საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობისა და მოჭადრაკეების სახელით სტუმრებს მიესალმა სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ნანა ალექსანდრია. ჩემპიონატის მონაწილეთაგან სიტყვა წარმოთქვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა.

34-ე საკავშირო პირველობის მთავარმა მსაჯმა, სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, ოსტატმა ლ. აბრამოვმა დამსწრეებს გააცნო ტურნირის დებულება და მონაწილეები კენჭისყრაზე მიიწვია.

აი, როგორ შეივსო სატურნირო ცხრილი:

1. დიდოსტატი ე. გელერი (ოდესა), 2. დიდოსტატი ე. ვასიუკოვი (მოსკოვი), 3. საერთაშორისო ოსტატი ვ. ოსნოსი (ლენინგრადი), 4. დიდოსტატი ლ. შტეინი (ლვოვი), 5. ოსტატი ი. ნიკოლაევსკი (კიევი), 6. დიდოსტატი მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი), 7. ოსტატი ვ. დოროშკევიჩი (გროზნო), 8. დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვი), 9. დიდოსტატი რ. ხოლმოვი (სოჭი), 10. ოსტატი ვ. სავონი (ხარკოვი), 11. საერთაშორისო ოსტატი ე. გუფელდი (კიევი), 12. საერთაშორისო ოსტატი ი. ნეი (ტალინი), 13. დიდოსტატი დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), 14. საერთაშორისო ოსტატი ა. გიპსლისი (რიგა), 15. ოსტატი ბ. გურგენიძე (თბილისი), 16. საერთაშორისო ოსტატი ა. ლეინი (ლენინგრადის ოლქი), 17. დიდოსტატი ვ. კორჩნოი (ლენინგრადი), 18. დიდოსტატი ა. სუეტინი (მინსკი), 19. დიდოსტატი ნ. კროგიუსი (სარატოვი), 20. დიდოსტატი ვ. ლიბერზონი (მოსკოვი), 21. დიდოსტატი ვ. სმისლოვი (მოსკოვი).

ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი დაამშვენა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელთა კონცერტმა.

## XXXIV ფინალი

**I ტური, 29 დეკემბერი**

ვასიუკოვი — სმისლოვი
ოსნოსი — ლიბერზონი
შტეინი — კროგიუსი
ნიკოლაევსკი — სუეტინი
ტაიმანოვი — კორჩნოი
დოროშკევიჩი — ლეინი
პოლუგაევსკი — გურგენიძე
ხოლმოვი — გიპსლისი
სავონი — ბრონშტეინი
გუფელდი — ნეი
თავისუფალია გელერი.

**II ტური, 30 დეკემბერი**

გელერი — ვასიუკოვი
სმისლოვი — ოსნოსი
ლიბერზონი — შტეინი
კროგიუსი — ნიკოლაევსკი
სუეტინი — ტაიმანოვი
კორჩნოი — დოროშკევიჩი
ლეინი — პოლუგაევსკი
გურგენიძე — ხოლმოვი
გიპსლისი — სავონი
ბრონშტეინი — გუფელდი
თავისუფალია ნეი.

### ● ბ. გურგენიძე — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

მაღალკვალიფიციურ მოჭადრაკეთა მომზადებაში ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, სწავლებისა და წვრთნის მოწინავე მეთოდების პრაქტიკაში აქტიური დანერგვისთვის, რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ჭადრაკში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა ბ. გურგენიძეს (თბილისის „სპარტაკი“).

### ● 1 ქულით

აპჟალის სასროლეთზე გაიმართა ტრადიციული მასობრივი საკავშირო დაუსწრებელი პირად-გუნდური შეჯიბრება ტყვიის სროლაში ჟურნალ „ვოენნოე ზნანიეს“ პრიზზე.

„გაქცეულ ირემზე“ 50 ერთმაგი გასროლით საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა, დინამოელმა სპორტის ოსტატმა გურამ თავდიდიშვილმა — 227 ქულა. ძველი რეკორდი (226 ქულა) არმიელ სპორტის ოსტატს ე. მიტინიანს ეკუთვნოდა 1958 წლიდან.

ამავე ვარჯიშში წარმატებით გამოვიდა არმიელთა სპორტული კლუბის გუნდის წარმომადგენელი, პირველთანრიგოსანი ა. გაზოვი, რომელმაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა — 224 ქულა.

რ. კაცობაშვილი.

### ● ახალი სტადიონი

კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს: მწყობრში ჩადგა ფეხბურთის სტადიონი.

ახალი ბაზის საზეიმო გახსნის დღეს მოეწყო საბჭოთა მეურნეობისა და ამავე სოფლის საშუალო სკოლის ფეხბურთელთა ამხანაგური შეხვედრა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

ო. თხინვალელი.

## [illegible]

სოფია, 23 დეკემბერი. ბულგარეთის სპორტულმა ჟურნალისტებმა თავიანთ ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ უცხოელ სპორტსმენად დაასახელეს მსოფლიოს VIII საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, პორტუგალიელი ეუსებიო.

ანკეტაში IV ადგილი დაიკავა შესანიშნავმა საბჭოთა ტანმოვარჯიშემ ნ. კუჩინსკაიამ.

II ადგილზეა მძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონი მოჰამედ ალი (კასიუს კლეი), ხოლო III — მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში ვ. ჩასლავსკა (ჩეხოსლოვაკია).

## გაისად...

ჩვენს გაზეთში სხვადასხვა დროს დაიბეჭდა მსოფლიოსა და ევროპის პირველობათა ვადები სპორტის ზოგიერთ სახეობაში. სულ ახლახან დაზუსტდა ამ უდიდეს შეჯიბრებათა საბოლოო კალენდარი, რომელიც გაზეთ „იზვესტიაში“ დაიბეჭდა. ვფიქრობთ, „ლელოს“ მკითხველთათვის იგი ინტერესმოკლებული არ იქნება.

### მსოფლიო ჩემპიონატები

12-21 იანვარი. შვეცია. ხელბურთი (ვაჟები, 7×7).
18-28 იანვარი. იაპონია. ტოკიო. ფრენბურთი (ქალები).
11-12 თებერვალი. ნორვეგია. ოსლო. ციგურები (ვაჟები).
14-19 თებერვალი. ფინეთი. ჰოკეი ბურთით.
16-19 თებერვალი. გდრ. ალტენბერგი. ბიატლონი.
18-19 თებერვალი. ჰოლანდია. დევენტერი. ციგურები (ქალები).
28 თებერვალი-5 მარტი. ავსტრია. ვენა. ფიგურული სრიალი.
18-29 მარტი. ავსტრია. ვენა. ჰოკეი.
11-21 აპრილი. შვეცია. სტოკჰოლმი. მაგიდის ჩოგბურთი.
14-23 აპრილი. ჩეხოსლოვაკია. კალათბურთი (ქალები).
25 მაისი-10 ივნისი. ურუგვაი. კალათბურთი (ვაჟები).
5-15 ივლისი კანადა. მონრეალი. ფარიკაობა.
10-12 აგვისტო. აშშ. ძიუ-დო.
10-13 აგვისტო. გფრ. აფროსნობა.
23-29 აგვისტო. ჰოლანდია. ამსტერდამი. ველოსიპედი (ტრეკი).
31 აგვისტო-3 სექტემბერი. ჰოლანდია. ველოსიპედი (გზატკეცილი).
1-3 სექტემბერი. რუმინეთი. ბუქარესტი. კლასიკური ჭიდაობა.
1-8 ოქტომბერი. იაპონია. ტოკიო. ძალოსნობა.
12-14 ნოემბერი. ინდოეთი. დელი. თავისუფალი ჭიდაობა.

### ევროპის ჩემპიონატები

28-29 იანვარი. ფინეთი. ლაჰტი. ციგურები (ვაჟები).
1-5 თებერვალი. იუგოსლავია. ლიუბლიანა. ფიგურული სრიალი.
18-29 მარტი. ავსტრია. ვენა. ჰოკეი.
25-26 მარტი. ფინეთი. ტამპერე. ტანვარჯიში (ვაჟები).
11-12 მაისი. იტალია. მილანი. ძიუ-დო.
20-30 მაისი. იტალია. რომი. კრივი.
27-28 მაისი. ჰოლანდია. ტანვარჯიში (ქალები).
1-3 სექტემბერი. საფრანგეთი. ვიში. აკადემიური ნიჩბოსნობა (ქალები).
27 სექტემბერი-8 ოქტომბერი. ფინეთი. კალათბურთი (ვაჟები).

საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ წინასაოლიმპიადო საერთაშორისო შეჯიბრებებში გრენობლსა და მეხიკოში. ტოკიოში 1967 წლის 26 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე შედგება მორიგი უნივერსიადა.

საინტერესოა, როგორ ტარდება ევროპის ჩემპიონატები ზოგიერთ სახეობაში.

**აკადემიური ნიჩბოსნობა** — ყოველწლიურად ქალთათვის და ყოველწლიურად, გარდა წყვილი არაოლიმპიური წლებისა — ვაჟთათვის.

**კალათბურთი** — ერთხელ ორ წელიწადში კენტ წლებში — ვაჟთათვის, წყვილ წლებში — ქალთათვის.

**კრივი** — ერთხელ ორ წელიწადში, კენტ წლებში.

**ფრენბურთი** — ერთხელ ოთხ წელიწადში, ოლიმპიური წლის წინ.

**ტანვარჯიში** — ერთხელ ორ წელიწადში ეწყობა თასის გათამაშება, რაც, ფაქტიურად, ევროპის პირად პირველობას წარმოადგენს.

**საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე** — ერთხელ ორ წელიწადში, კენტ წლებში.

**ძიუ-დო** — ერთხელ ორ წელიწადში, კენტ წლებში.

**საცხენოსნო სპორტი** — ყოველწლიურად, მხოლოდ დაბრკოლებათა გადალახვაში.

**აფროსნობა** — არარეგულარულად.

**ცურვა, წყალში ხტომა და წყალბურთი** — ერთხელ ოთხ წელიწადში, წყვილ არაოლიმპიურ წლებში.

**სროლა** — ერთხელ ორ წელიწადში, კენტ წლებში.

**ძალოსნობა** — ყოველწლიურად.

## ტყიბულის „მეშახტე“ — „ა“ კლასში

სპორტის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ტყიბულის „მეშახტის“ ფეხბურთელებმა I ადგილი დაიკავეს მოკავშირე რესპუბლიკათა ზონებში გამარჯვებული გუნდების ტურნირში, რომელიც მათს ქალაქში მიმდინარეობდა შემოდგომით.

ამ გამარჯვებით „მეშახტემ“ უფლება მოიპოვა 1967 წლიდან მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირის საფეხბურთო პირველობის გათამაშებაში „ა“ კლასის II ჯგუფში. სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ დაადგინა ტყიბულის „მეშახტე“ გაისად ჩაირიცხოს „ა“ კლასის II ჯგუფის იმ ქვეჯგუფში, სადაც გამოდიან თბილისის „ლოკომოტივი“ და ბათუმის „დინამო“.

## „ლელოს“ პრიზზე

ბაკურიანში მიმდინარეობს „ლელოს“ პრიზის გათამაშება სათხილამურო სპორტში.

სურათზე: ქალთა სპეციალურ სლალომში გამარჯვებული ლ. გოგოლაძე ტრასაზე.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-4 გვ.).



# გდრ-ის საიდუმლოებანი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები სულ უკეთ და უკეთ გამოდიან საერთაშორისო სარბიელზე. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან, ტრიუმფალურ წარმატებას მათ ამ სეზონში მიაღწიეს. მძლეოსანთა გამარჯვება ევროპის ჩემპიონატში, ნიჩბოსნების წარმატება მსოფლიო ჩემპიონატში, სხვადასხვა დიდ შეჯიბრებაში, მათ შორის, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში (თანამედროვე ხუთჭიდი) მოპოვებული მედლები... და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენჯერ გამოიჩინეს თავი გდრ-ის ათლეტებმა.

რაშია ამ ქვეყნის სპორტული საიდუმლოება?

დღეს ვაქვეყნებთ საკდესის სპეციალური კორესპონდენტის ვ. ბაბკინის ნაამბობს, იგი ახლახან დაბრუნდა გდრ-იდან.

### ყურადღება, ბავშვები!

ბავშვები ჩვენი მომავალია. ასეა სპორტშიც და გდრ-ში ამას არ ივიწყებენ. შეიძლება ითქვას, რომ თუ ყველაზე მთავარი არა, ერთი პირველთავანი საიდუმლო ამ ქვეყნის სპორტული წარმატებისა ბავშვებთან, მოზარდებთან მუშაობაა. იგი უკვე მრავალი წელია გრძელდება და აი, ხანგრძლივმა შრომამ პირველი, მადლიანი ნაყოფი გამოიღო.

სპორტში სისტემატურად მეცადინეობს გდრ-ის 380 ათასი ბავშვი (6-დან 14 წლამდე) და 260 ათასი მოზარდი. ყველანი გერმანული სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის ორგანიზაციების წევრები არიან. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ციფრია, თუ გავითვალისწინებთ, რომ გდრ-ის მოსახლეობა დაახლოებით 17 მილიონ კაცს ითვლის. მაგრამ, ეს მხოლოდ საქმის რაოდენობრივი მხარეა.

აი, ხარისხობრივიც: რესპუბლიკაში არის 15 საშუალო სკოლა, სადაც ფიზმომზადება ყოველდღიური საგანია. ყოველი მოსწავლე სპორტის იმ სახეობას ძისდევს, რომელიც მას ყველაზე მეტად შეეფერება. სწავლების მეორე წლიდან კი იწყება სპორტული სპეციალიზაცია.

გდრ-ში მშობლები 6 წლის ბავშვებს ცურვის სექციებში აბარებენ. ერთადერთი, რამაც შეიძლება მათ სურვილს ხელი შეუშალოს, აუზების გადატვირთვაა. აუზები გდრ-ში, როგორც ჩვენში, საკმარისი რაოდენობით არა აქვთ. მაგრამ ახალი საცურაო ბაზების მშენებლობის ამოცანა „დღის წესრიგში" დგას. ეს გამოწვეულია არა მხოლოდ გამაჯანსაღებელი მიზნით, არამედ იმ განზრახვითაც, რომ ცურვის რაც შეიძლება მეტი, კარგი ოსტატი ჰყავდეთ. აშშ-ში, მაგალითად, ყოველი 200 ახალბედა მოცურავიდან 20 ოსტატი ხდება. გდრ-ში, ჯერჯერობით, ყოველი 50 დებიუტანტიდან ერთი შესანიშნავი ოსტატი იზრდება.

მაგრამ გდრ-ში დღესაც დიდ მუშაობას ატარებენ ახალგაზრდა მოცურავეებთან. ეს ითქმის განსაკუთრებით ლაიპციგზე, სადაც გამუდმებით იხვეწება წვრთნის მეთოდები, გულდასმით სწავლობენ სხვადასხვა დამხმარე სახელმძღვანელოს, რომელთაც მსოფლიოს თითქმის ყოველი კუთხიდან იღებენ.

ბავშვებს შანსების გათანაბრების მიზნით, სექციებში ცალკეულ ჯგუფებად ანაწილებენ წლოვანების მიხედვით — 11 წლის, 12, 13 და ა. შ. ისინი არა მარტო ვარჯიშობენ, არამედ — არ შევუშინდები ამ სიტყვას — განუწყვეტლივ ეჯიბრებიან ერთმანეთს, ყოველ მეცადინეობაზე, თითქმის ყოველდღე.

ჩემი თვალით ვნახე, რომ ბერლინის სპორტული კომპლექსის „დინამო-შპორტჰალეს" (ჩვენი ლუჟნიკის ტიპის კომპლექსია, ოღონდ, ბევრად ნაკლები ადგილი უჭირავს) საცურაო აუზში განუწყვეტლივ ტარდება ახალგაზრდული შეჯიბრებები.

მათგან ერთი განსაკუთრებით საინტერესოა: ყოველ წელიწადს როსტოკში, მაგდებურგსა, ბერლინსა, ლაიპციგსა და კარლ-მარქს-შტადტში გერმანული ტელევიზიის თასის გათამაშება ეწყობა. ყოველ ქალაქში იქმნება გუნდი, რომელშიც შედიან ნორჩებიც (10 წლიდან). ერთი წლოვანების მოცურავეებით დაკომპლექტებული გუნდები ერთ-ერთ ქალაქში იყრიან თავს და ასპარეზობენ. შეჯიბრების დანარჩენი მონაწილენი კი ტელევიზორით ადევნებენ თვალს ბრძოლას. მერე მეორე ქალაქის, სხვა ასაკის სპორტსმენების რიგი დგება... ეს დასწრებულ-დაუსწრებელი ტურნირი ცურვის სულ უფრო მეტ თაყვანისმცემელს იზიდავს, განსაკუთრებით ბავშვები „ენთებიან".

ცურვაზე უმიზეზოდ არ გამიმახვილებია ყურადღება. გდრ-ში სპორტის ამ სახეობის კავშირი სხვა ფედერაციებს დიდად უსწრებს და თავისებურ მაგალითსაც აძლევს მათ. ზოგიერთი კავშირი უკვე გაჰყვა მის კვალს. პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ჰოკეისა და მძლეოსნობის ფედერაციები, რომლებიც საბჭოთა მეთოდებით მუშაობენ. თუმცა, ჩემი აზრით, ზოგიერთ რამეში გერმანელებმა გაასწრეს თავიანთ მასწავლებლებს. უწინ გდრ-ში არსებობდა აზრი, რომ, მაგალითად, სტაიერები, აუცილებლად „სოლიდური" წლოვანებისა უნდა იყვნენ. ახლა კი კურტ აინცი (ჰანს გროდოცკის, ზიგფრიდ ვალენტინისა და სხვა ცნობილთა აღმზრდელი) სულ ნორჩებს, 12-15 წლის ბავშვებს წვრთნის. ისინი თითქმის ყოველდღიურად 10 კილომეტრს, ხანდახან მეტსაც ფარავენ და დაღლილობას არ გრძნობენ. ყოველ შემთხვევაში, მათ აპნ-ის კორესპონდენტს ერთხმად განუცხადეს, რომ „სულაც არ იღლებიან". სპეციალისტებიც იმავე აზრისა არიან.

ზოგიერთი რამ ძალოსნობაშიც შეიცვალა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატში (ბერლინი), რომელშიც პლანეტის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ, წარმატებით გამოვიდა 15 წლის მექსიკელი ბიჭი მანუელ მატეოს დე ლა როსა, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის ტომი კონოს აღზრდილი.

დიახ, ძნელია არ დაეთანხმო გერმანიის სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის პრეზიდენტს მანფრედ ევალდს, რომელმაც განაცხადა: სპორტს ყველა ახალგაზრდა უნდა მისდევდეს და რაც უფრო ადრე დაიწყებს ამას, მით უკეთესია. ამის ნათელი დადასტურებაა ბავშვთა და მოზარდთა I გერმანული სპარტაკიადა, რომელიც ბერლინში ჩატარდა და ღირსშესანიშნავ მოვლენად ჩაითვალა ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში.

### ასეთი სპარტაკიადა ჯერ არ ჩატარებულა

„გერმანიის ბავშვთა და მოზარდთა I სპარტაკიადა არის ახალი ეტაპი ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარებისა, რომელიც სოციალისტური ფიზიკური კულტურის შემადგენელი ნაწილია", — ასე მიესალმა სპარტაკიადის მონაწილეებს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარ-

**სოციალისტური ქვეყნების სპორტული ცხოვრება**

ტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი. ეს მართლაც ასეა.

ამგვარი შეჯიბრება გდრ-ში ჯერ არ ჩატარებულა. ივლისის დღეებში 13 ათასმა ბავშვმა მოიყარა თავი ბერლინში, I სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებაზე. ესენი იყვნენ უკეთესნი იმ მილიონ ოთხმოცი ათასიდან, ვინც სპარტაკიადის წინა ეტაპებში — ფიზიკური კულტურის კოლექტივების შეჯიბრებებში, საოლქო და რაიონულ სპარტაკიადებში მონაწილეობდა. ფინალის პროგრამაში 24, მათ შორის ყველა ოლიმპიური სახეობა შედიოდა: კალათბურთი, კრივი, ძიუ-დო, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, აკადემიური ნიჩბოსნობა, ტანვარჯიში, ნიჩბოსნობა ბაიდარებითა და კანოეთი, ველოსპორტი, ცხენოსნობა, მძლეოსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი, გორგოლაჭებიანი ციგურებით რბენა, სროლა, აფროსნობა, ფრენბურთი, წყალბურთი, ცურვა, წყალში ხტომა, ძალოსნობა, ბალახის ჰოკეი, ხელბურთი, ფეხბურთი, ფარიკაობა. თქვენ, რა თქმა უნდა, ხვდებით, თუ რა მიზანი ჰქონდა ამ სპარტაკიადას. დიახ, ეს იყო ოლიმპიური რეზერვის დათვალიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დათვალიერებამ წარმატებით ჩაიარა. სპარტაკიადამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა რეკორდების ცხრილში 116 შესწორება შეიტანა. რაც მთავარია, ახალი მაჩვენებლებიდან რამდენიმე ძალიან მაღალი იყო. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს საუკეთესო შედეგი — 2 წუთი და 10,3 წამი, რომელიც უჩვენა 15 წლის ბარბარა ვიკმა 800 მეტრზე რბენაში. მალე ბარბარამ გააუმჯობესა ეს შედეგი: 2 წუთი და 9 წამი, — ასეთი იყო მისი მაჩვენებელი ოდესაში ევროპის მოზარდთა პირველ ოფიციალურ ჩემპიონატში.

უფროს ასაკობრივ ჯგუფში გამოვიდა მანამდე ნაკლებად ცნობილი მაკს კლაუსი. ივლისში მას 19 წელი შეუსრულდა. ბერლინში კლაუსი 754 სანტიმეტრ სიგრძეზე გადახტა, შემდეგ კი, ბუდაპეშტში, ევროპის ჩემპიონატში ათჭიდში ასპარეზობისას, სიგრძეზე ხტომაში 761 სმ აჩვენა და IV ადგილი დაიკავა „უფროსებში". ოდესაში იგი ჩემპიონი გახდა.

სპარტაკიადის მონაწილეთაგან ყველაზე დიდ წარმატებას 14 წლის ლაიპციგელმა ვერნერ ფოლკერმა მიაღწია. მოზარდმა მოცურავემ ოქროს 11 (!) მედალი მოიხვეჭა სხვადასხვა დისტანციასა და სხვადასხვა სტილით ცურვაში. მანვე დაამყარა გდრ-ის 5 ახალი რეკორდიც. უნდა შევნიშნოთ, რომ ფოლკერი რამდენიმეჯერ წარმატებით გამოვიდა საერთაშორისო სარბიელზე, როგორც თავისი ქვეყნის ნაკრების წევრი.

სპარტაკიადამ გამოავლინა სხვა ნიჭიერი მოცურავეებიც, რომლებმაც რომის ოლიმპიადის მონაწილეთა საუკეთესო შედეგები უჩვენეს. დიდი სიმპათიით სარგებლობდა, მაგალითად, 15 წლის გაბრიელა ფოიგტი, რომელმაც ოქროს 6 და ბრინჯაოს 2 მედალი მოიპოვა.

ეჭვი არ არის, რომ ამ სპარტაკიადაში გამარჯვებულთაგან ბევრი მიიღებს მონაწილეობას მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში. ზოგიერთი მათგანი უკვე იყო ამ სეზონში მეხიკო-სიტიში გდრ-ის სპორტულ დელეგაციასთან ერთად, „საერთაშორისო სპორტის კვირეულზე".



ამ ფოტოზე აღბეჭდილია გდრ-ის ოლიმპიური იმედი ცურვაში — მ. გრუნერტი და მისი მწვრთნელი. სურათი გადაღებულია უტრეხტში, სადაც აგვისტოში ევროპის მორიგი ჩემპიონატი მიმდინარეობდა.

ტურნირში შესანიშნავად იასპარეზეს გდრ-ის მოცურავეებმა — ფინალის პირველსავე დღეს ოქროს 2 მედალი მოიპოვეს. ჯერ ფ. ვიგანდმა ისახელა თავი 400 მეტრზე ვაჟთა კომპლექსურ ცურვაში: კონტინენტის ახალი რეკორდი დაამყარა — 4.47,9. რამდენიმე წუთის მერე 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გრუნერტმა თანაგუნდელის ორმაგი მიღწევა გაიმეორა: კონტინენტის რეკორდიც გააუმჯობესა (1.01,2) და ოქროს მედალიც დაისაკუთრა. სპორტსმენ ქალიშვილს წარმატება პირველმა მწვრთნელმა მიულოცა.

ეს ასპარეზობა იყო გამოხატულება იმისა, თუ როგორ ზრუნავენ გდრ-ში ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარებისთვის. გადაწყდა, სპარტაკიადა ტრადიციად იქცეს.

### და სხვანი...

ბავშვებისთვის ზრუნვა გახლავთ მხოლოდ ერთ-ერთი გდრ-ის სპორტულ საიდუმლოებათაგან. მაგრამ, აქვთ მათ სხვა საიდუმლოც.

მახსოვს, ბუდაპეშტში ჩვენი მძლეოსნების ასპარეზობა არასასურველი შედეგებით დამთავრდა. თავს იმით იმართლებდნენ, რომ ამ დიდი ტურნირისთვის მზადება ძალიან ცუდ პირობებში მოუხდათ: კეთილმოუწყობელ ბინებში ცხოვრობდნენ, ცუდად ეძინათ, ხშირი მოგზაურობა უწევდათ. ეს ყველაფერი მოქმედებდა სპორტსმენებზე.

აი, გერმანელები, მაგალითად, შესანიშნავ პირობებში ვარჯიშობდნენო, — ამბობდნენ ჩვენი ბიჭები. დიახ, ეს ერთ-ერთი პირობა იყო მათი გამარჯვებისა.

გდრ-ის ათლეტებს ბერლინის გარეუბანში სპეციალური ბაზა აქვთ ნაკრები გუნდებისთვის. წარმტაცი ადგილია მშვენიერი სასტუმროთი, შესანიშნავი სავარჯიშო მოედნებით და დარბაზებით. აქ ისინი დიდი შეჯიბრებებისთვის ემზადებიან. განა მისაბაძი არ არის მათი მაგალითი? ხომ აქვთ ჩვენს ფეხბურთის კლუბებს თავიანთი ბაზები, რატომ ნაკრებს არ უნდა ჰქონდეს? დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: სსრ კავშირის ეროვნული გუნდი იძულებულია ხან ვის სთხოვოს ადგილი სავარჯიშოდ, ხან ვის. განა შეიძლება ამას შეურიგდე? აუცილებლად უნდა შეიქმნას უძლიერესთა ბაზა, სადაც საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებებისთვის მომზადება შეიძლება, სადაც გამოცდილი ექიმები და სხვა სპეციალისტები დაეხმარებიან ჩვენს ათლეტებს უმაღლესი სპორტული ფორმის მიღწევაში.

ფინანსური თვალსაზრისითაც გაცილებით ხელსაყრელია შეიქმნას ერთი ცენტრალური, სხვებზე უფრო კეთილმოწყობილი ბაზა, ვიდრე რამდენიმე.

კიდევ ერთი ფაქტი, რასაც გდრ-ის „სპორტულ საიდუმლოებათა" რიცხვს მივაკუთვნებდი. მხედველობაში მაქვს სპორტული მედიცინის ინსტიტუტი, რომელიც 1961 წელს გაიხსნა ლაიპციგში და რომელმაც 1964 წელს ახალი, თანამედროვე, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი შენობა მიიღო.

ეს არის არა მარტო ფიზკულტურისა და სპორტის მომავალი მასწავლებლების სპორტულ-სამედიცინო მომზადების ადგილი, არამედ გდრ-ის სპორტული მედიცინის ცენტრიც — მეცნიერებისა, რომელიც ახლა დიდ ძალას წარმოადგენს.

შემთხვევითი როდია, რომ ეს ინსტიტუტი სწორედ ლაიპციგში დაარსდა. სპორტული მედიცინის ინსტიტუტთან ერთად სწორედ ამ დიდ ქალაქშია გერმანიის ფიზკულტურის უმაღლესი სკოლა, გდრ-ის მთავარი სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ინსტიტუტი. აქ ამზადებენ ფიზკულტურის მასწავლებლებს, ნაკრები გუნდებისა და ცენტრალური სექციების მწვრთნელებს. აქ იზრდებიან სპორტის მეცნიერები, აქვე ტარდება მეცნიერული კვლევა-ძიებანი. ინსტიტუტის საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია მეცნიერული მიღწევების ცხოვრებაში გატარება, თეორიის გარდაქმნა პრაქტიკად.

ლაიპციგის ინსტიტუტში, რომელიც 1950 წელს დაარსდა, 380 მასწავლებელი და მეცნიერ-მუშაკია, 2 ათასი სტუდენტი, 9 სპორტული დარბაზი — 6.500 კვადრატული მეტრი ფართობით. მხოლოდ 3 დიდი აუდიტორია 1.020 სტუდენტს იტევს! რა თქმა უნდა, აქ არის სხვა კაბინეტებიც, ლაბორატორიები, კლუბები, ღია მოედნები და, ბოლოს, აუზი, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ცურვაში. ამ ინსტიტუტშია გდრ-ის ერთ-ერთი უდიდესი სტადიონიც, რომელიც 100 ათას მაყურებელს იტევს. ესეც სასწავლო „კლასებია" ლაიპციგის ფიზიკური კულტურის უმაღლესი სკოლის სტუდენტებისთვის. სკოლას აქვს უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც სპორტული ლიტერატურის 30 ათას ტომს მოიცავს (აღარას ვამბობ ჟურნალებსა და სხვა საცნობარო გამოცემებზე). სკოლა ახორციელებს მეცნიერულ მიმოცვლას 50 ქვეყანასთან; იგი არის იუნესკო-სთან არსებული საერთაშორისო სპორტისა და ფიზიკური აღზრდის საერთაშორისო საბჭოს წევრი.

ძნელია დაწვრილებით მოჰყვე გდრ-ის ყველა სპორტულ საიდუმლოებაზე. ამას დიდი გამოკვლევა დაჭირდებოდა. დავსძენ მხოლოდ, რომ ამ საიდუმლოებათაგან ერთ-ერთი ძირითადია პატრიოტიზმი, სურვილი თავისი ახალგაზრდა ქვეყნისთვის სახელის მოხვეჭისა.

წინ, ალბათ, მრავალი ახალი გამარჯვებაა, რადგან გდრ-ის სპორტულ გეგმებს ფიზიკური კულტურისთვის სპორტსმენთა რიცხვის გადიდებისა და მათი ოსტატობის ამაღლებისთვის ზრუნვა წარმოადგენს.

ბერლინი — მოსკოვი.

### ა. რამ

პოპულარული ინგლისური გა
ლებმა წლის საუკეთესო სპორ
ვნული ნაკრების კაპიტანი ბობი მუ
კეთესოთა სიაში აღმოჩნდა კაციც,
სპორტში აქტიურ ვარჯიშს. ლაპარა
ზე ა. რამსეიზე. „მე ვასახელებ რამ
ვარმა, — იმიტომ, რომ იგი მუდამ
მე ვხედავდი, როგორ გაჭაღარავდ
დღეებში. ვხედავდი, — ჯეკი ჩარლ
და, რამსეიც მასთან იყო. ვხედავდი,
ფიც უტევდა მოწინააღმდეგეს". და
მიიღო ინგლისის ფეხბურთის ფედ
სი გირვანქა სტერლინგი.

რა აზრისაა ალფ რამსეი მსოფ
თაობაზე? ამ კითხვას რამსეიმ პასუ
გდრ-ის დედაქალაქში, სადაც იგი

— ჩვენ ვხედავთ, რომ ფეხბ
წევრთა რიცხვი გამუდმებით იზრდ
ვი ქვეყნებისა, სადაც ფეხბურთი
ამიტომაა აუცილებელი მსოფლიო
ბის გამრავლებაც. ეს კი ნიშნავს, რ
ტთა რიცხვიც, ვთქვათ, ოცამდე.
ცია ჩემპიონატის ორგანიზატორებ
მებს წამოჭრის, მაგრამ ეს აუცილ

ფინალური ტურნირის სტატუს
ბური უნდა დარჩეს. საჭიროა მხო

# კვლავ რეკორდები!

თბილისი, 27 დეკემბერი. საბ...თა პარაშუტისტების ჯგუფმა ...ოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონ... ვ. კრესტიანიკოვის მეთაურო... დაამყარა ახალი მსოფლიო ...რეკორდი ღამის კომბინირებულ ...ხტომაში 1000 მეტრიდან (პარაშუ...ის გახსნის დაყოვნებით). სპორტ...მენები წრის ცენტრიდან, საშუა...ოდ, 284 სანტიმეტრზე გადახრით ...ეშვნენ და გააუმჯობესეს მიღწე-ვა, რომელიც გდრ-ის პარაშუტის-ტებს ეკუთვნოდათ. კრესტიანიკოვ-თან ერთად გამარჯვება იზეიმეს ა. ტიუმენევმა, ი. ბარანოვმა, გ. ში-რიაევმა, ა. ბურაკოვმა, ი. კუკა-ნოვმა, ი. ზაიცევმა, ვ. ფილონენკომ და ვ. ნარზიკულოვმა.

ვ. კრესტიანიკოვისთვის ეს მეო-რიათასე ნახტომი იყო. იგი ახლა 29-ე საბჭოთა „ორიათასიანია".

უკვე ვიტყობინებოდით მსოფ-ლიო რეკორდზე, რომელიც საბჭო-თა პარაშუტისტებმა დაამყარეს 1000 მეტრიდან ღამის ჯგუფურ ხტომაში (ცენტრიდან 216 სმ-ზე გადახრით). ახლა ეს შედეგიც გა-უმჯობესდა: ა. პოდგორნოვი, ა. ოსიპოვი, ფ. ზარიპოვი, ბ. ლეონო-ვი, ა. კანდირინი, ლ. ჩუგრეევი, ა. ქოლობოვი, ნ. ბაბიჩევი და ე. ორ-ლოვი წრის ცენტრიდან 166 სმ-ის დაშორებით დაეშვნენ.

# სტავროპოლის სპორტული „შუქურა"

...ტავროპოლიდან მე-60 კილომეტრ-...პეტროვსკის რაიონში არის სოფე-...კონსტანტინოვკა, სამოქალაქო ომის ...რის — სარაევის სახელობის კოლ-...რნეობის მთავარი ნაწილი.

...მეურნეობა მრავალდარგოვანია, კო-...ეურნეობა — მილიონერი. მაგრამ ...ა ამაზე როდი გვსურს ლაპარაკი. ...დით, გავეცნოთ კოლმეურნეობის ...რტულ ცხოვრებას, იმ ადამიანებს, ...მელთა ფიზკულტურულ კოლექტივ-...ამ სამი წლის წინ სპორტული ...უბის მაღალი წოდება მიენიჭა. ...უქურა" — აი, სოფლის სპორტული ...მმის სახელი.

...ემი გიდი „შუქურას" გამგეობის ...მჯდომარე, სოციალისტური შრომის ...რი, კომბაინერი თ. მარკოვი გახლ-...თ.

...პირველი, რაც გულგახსნილმა მეგ-...რმა მიჩვენა, თანამედროვე სტადიო-...იყო. აქ ყველა პირობაა შექმნილი ...ადასხვა სექციის მუშაობისთვის. ...ბურთის ჩინებული მინდორი, მძლე-...ური სექტორები, ბეტონის მოედანი ...ლაქობანასთვის, ტირი. საფუძველი ...ყარა დახურულ ტირსა და ზამთრის ...ურაო აუზს.

...ცოტა მოშორებით მოტოდრომია. მო-...ბურთი ჩვენში სპორტის ყველაზე ...ლი სახეობაა და მით უფრო სასიხა-...ლოა, რომ იგი სოფლადაც ვითარ-...ბა.

— ჩვენი კოლმეურნეობა დიდია, — ამბობს მარკოვი, — 2000-ზე მეტი მარტო სპორტული საზოგადოების წევ-რი გვყავს, ფიზკულტურის კოლექტივი კი — 9. ამჟამად რეგულარულად მუ-შაობს 17 სექცია. ჩვენთან, კოლმეურ-ნეობაში, 48 საზოგადოებრივი მწვრთ-ნელია. ამ ძალას კი დიდი საქმის გა-კეთება შეუძლია.

— სპორტის რომელი სახეობა გვიყ-ვარს ყველაზე მეტად? რასაკვირველია, ფეხბურთი! ჩვენი სპორტსმენები რაიო-ნის მრავალგზის ჩემპიონები არიან, მთელს მხარეში ერთ-ერთი უძლიერესნი. განსაკუთრებით უმცროსების წარმატე-ბა გვახარებს. ჩვენმა ბიჭებმა I ადგილი დაიკავეს სოფლის გუნდების სამხარეო პირველობაში. ისინი „ტყავის ბურთის" გათამაშების ფინალისტებიც არიან. ერ-თი სიტყვით, საიმედო თაობა გვეზრ-დება.

ტოლს არავის უდებენ კოლმეურნე-მძლეოსნებიც. მწველავმა ტ. დიაკონო-ვამ თავისი სპორტული „ნადავლის" კოლექცია ოქროს 2 მედლით შეავსო, ვერცხლის მედალი მოიპოვა მისმა მეგო-ბარმა ლ. შევცოვამ, ხოლო ქვისმტეხე-ლმა ვ. ალფიოროვმა ბრინჯაოს მედალი ჩამოგვიტანა. ეს ჯილდოები მოპოვებუ-ლია რუსეთის ფედერაციის სოფლის სპორტული კლუბების პირველობაში.

მშენებელი ვ. ოსიპოვი, კოლმეურნე ტანია დომაშენკო ჩვენი მხარის უძლიე-რესი ველოსიპედისტები არიან, ი. გორ-ბატიხი და ი. ლედოვსკი — ქალაქო-ბანას ჩინებული მოთამაშენი.

. კოლმეურნეობაში ერთ-ერთი უძვე-ლესია სროლის სექცია. მას თავისი ისტორიაც აქვს. ფიზკულტურული კო-ლექტივის მუზეუმში, სადაც სპორტუ-ლი ჯილდოები გვაქვს თავმოყრილი, ინახება წითელი ალამიც — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ჯილ-დო. იგი მოიპოვა ფ. მარკოვის კომბაი-ნის „ეკიპაჟმა". მექანიზატორთა შეჯიბ-რება ფრიად თავისებური იყო: პირდა-პირ მინდორში დადგეს სამიზნეები. ბი-ჭები სამუშაო დღის დამთავრებისთანა-ვე იწყებდნენ სპორტულ შეჯიბრებას. ეს წითელი ალამიც მაშინდელია.

სტავროპოლის სარაევის სახელობის კოლმეურნეობაში სპორტული ცხოვრე-ბა ჩქეფს. თითქმის ყოველ კვირაში ეწ-ყობა სხვადასხვა შეჯიბრება. ტურნირე-ბი ჭადრაკსა და ქალაქობანაში, ფრენ-ბურთსა და კალათბურთში, შაშში, სროლასა და სხვა სახეობებში ავლენენ უძლიერეს ათლეტებს, რომლებიც შემდ-გომ კოლმეურნეობის ნაკრებ გუნდებში იყრიან თავს. ისინი ხვდებიან არა მარ-ტო თავიანთ შეფებს — სტავროპოლის მანქანათმშენებელი ქარხნის სპორტსმე-ნებს, არამედ სტავროპოლის მხარის სხვა კოლმეურნეობათა და საბჭოთა მე-ურნეობების წარმომადგენლებსაც. ახლა პეტროვსკელი სპორტსმენები საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძ-ღვნილი სპარტაკიადისთვის ემზადე-ბიან.

ი. მალეევი.

# მექსიკური დღიური



როგორც ცნობილია, მეხიკოს წინაოლიმპიურ კვირეულში მონაწი-ლე ქვეყნების სპორტსმენებს თან ახლდნენ სამედიცინო მუშაკთა მრავალრიცხოვანი დელეგაციები, რომლებიც შეჯიბრების დამთავრების-თანავე ახდენდნენ დაკვირვებას, თუ როგორ მოქმედებს მოასპარეზეებზე მომავალი ოლიმპიადის ცენტრის ესოდენ დიდი სიმაღლე ზღვის დონი-დან. ამ სურათზე თქვენ სწორედ ერთ-ერთ ამგვარ მომენტს ხედავთ. სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე მ. ვორონინმა ეს-ესაა იასპარეზა და ექიმებმა იგი მყისვე „დაატყვევეს" — თავიანთი დაკვირვების ობიექტად აქციეს.



„ოლიმპიადა ყველასთვის"! ასეთი დევიზით ემზადება მეხიკო XIX თამა-შებისთვის. ოლიმპიადა იქნება არა მარტო სპორტული მიღწევების დემონსტრა-ცია, არამედ ლიტერატურის, ხელოვნებისა და, ასე განსაჯეთ, მოდების ნიმუშთა და-თვალიერებაც. აი, მეხიკოს პირველი საჩუქარი, რომელიც აქაურმა მემოდელეებმა დაამზადეს — ქალის საბანაო კოსტუმი. ოლიმპიადის ორგანიზატორთა მტკიცე-ბით, თამაშების პერიოდში მეხიკოში საკონკურსოდ ასობით ასეთ საბანაო კოს-ტუმს გამოგზავნიან. პრემირებულ ექსპონატებს მასობრივი წარმოებისთვის შე-ისყიდიან სხვადასხვა ქვეყნის ფირმები.

# დაკარგული ბეჭედი

...გონი, 27 დეკემბერი. შო-...ბის დღეებმა განსაკუთრე-ბული სიამოვნება მოჰგვარა პროფესიონალთა საერთა-შორისო ველორბოლების არ-აერთგზის გმირს რუდი ალ-ტიგს, მძლეოსნებს კარინ ფრიშსა და ჰელგა ჰოფმანს. გფრ-ის სპორტულმა ჟურ-ნალისტებმა და მიმომხილ-ველებმა ისინი თავიანთი ქვეყნის საუკეთესო სპორტ-სმენებად აღიარეს წლე-ულს. კარინ ფრიში და ჰელ-გა ჰოფმანი დააჯილდოეს „წლის საუკეთესო სპორტ-სმენი ქალის საპატიო ბეჭ-დით".

პრიზების გადაცემის სა-ზეიმო ცერემონია ბადენ-ბადენში ყველა წესის დაც-ვით ჩატარდა. გუგუნებდა ორკესტრი, ელავდა ფოტო-აპარატების ბლიცები. მაგ-რამ, როგორც შემდეგ გაირ-კვა, ეს ზეიმი ერთმა მოუ-ლოდნელმა ამბავმა დაჩრ-დილა: „ცერემონიის დროს, — იუწყება გაზეთი „გენე-რალ-ანცაიგერი", — გაი-ტაცეს საპატიო ბეჭედი, რო-მელიც კარინ ფრიშისთვის უნდა გადაეცათ".

ქურდმა დარბაზში გამე-ფებული საზეიმო აჟიოტა-ჟით ისარგებლა, ძვირფასი ბეჭედი გაიტაცა და მიიმა-ლა.

# ...ი 20 ფინალისტის მომხრეა

...„დეილი ექსპრესის" მკითხვე-...დ ქვეყნის ფეხბურთელთა ერო-...სახელეს. მოულოდნელად საუ-...ლმაც დიდი ხანია დაანება თავი ...ლისელთა ნაკრების მწვრთნელ-... დაწერა ერთმა გულშემატკი-...და არის ნამდვილი სპორტსმენი. ...ამხეი მსოფლიოს ჩემპიონატის ...რომ მეტოქის იერიშს იგერიებ-...ბობი ჩარლტონთან ერთად ალ-... რომ ამ დღეებში მწვრთნელმა ...ს საგანგებო პრემია — 6 ათა-...

...ჩემპიონატების ორგანიზაციის ...ცა ჟურნალისტებთან საუბრისას ...რის სტუმრად.

...საერთაშორისო ფედერაციის ...ვე, როგორც მატულობს რიცხ-...დღე მეტ პოპულარობას იძენს. ...ნატის საკვალიფიკაციო ჯგუფე-...ზრდება ჩემპიონატის ფინალის-... ცხადია, რომ ამგვარი სიტუა-... ახალი, ურთულეს პრობლე-...

...ის აზრით, ძირითადად უწინდე-...რამდენიმე არსებითი ცვლილება. ინგლისელი მწვრთნელი წინადადებას იძლევა მეოთხედფინალებსა და ნა-ხევარფინალებში წყვილები წინასწარ კი არ განისაზღვროს ცალკეული ჯგუფების შემადგენლობით, არამედ კენჭისყრით შეირჩეს. „ეს ფეხ-ბურთს დაიცავდა გუნდების არასპორტული მანევრირებისგან. მატჩები მეტ ინტერესს შეიძენდა და მაყურებელიც მოიგებდა. ასევე კენჭისყრით უნდა გადაწყდეს მეოთხედფინალური და ნახევარფინალური შეხვედრების ადგილიც. ამგვარად, უპირატესობა, რომელიც უეჭველად აქვს ჩემპიონა-ტის ორგანიზატორ ქვეყანას, მინიმუმამდე შემცირდება".

რა გვეთქმის, — ინგლისელი რამსეის ეს სიტყვები თუმცა ნაგვიანები, მაგრამ საკმაოდ დამაფიქრებელია.

# ტელეტაიპის ლენტიდან

● სტოკჰოლმი, 27 დეკემბერი. საბჭოთა მოთხილამურეების გამარჯვებით დამთავრდა მათი პირველი გამოსვლა საზღვარგარეთ: ჩრდილოეთ შვეციაში მდე-ბარე ქალაქ მორაში მათ 3 პირველი ადგილი მოიპოვეს. 16 კილომეტრზე რბენა-ში გაიმარჯვა ვ. ვორონკოვმა (51.32,0), 5 კილომეტრზე — ლ. დორონინამ (19.25,0), ხოლო 8 კილომეტრზე რბენაში — ნ. შებალინამ (30.25,0).

● სტოკჰოლმი, 27 დეკემბერი. შვეციის საჭადრაკო ფედერაციის საიუბილეო ტურნირში მონაწილეობენ დიდოსტატები პ. კერესი (სსრ კავშირი), ბ. ლარსენი (დანია) და გ. შტალბერგი (შვეცია). შეჯიბრება, რომელშიც 10 მოჭადრაკე ასპარეზობს, 5 იანვრამდე გაგრძელდება.

● ჟენევა, 27 დეკემბერი. შვეიცარიის მაღალმთიან ქალაქ სანკტ-მორიცში დამთავრდა ტრამპლინიდან მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრება. გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიელმა ლ. დივილამ — 229,4 ქულა. მისი საუკეთესო ნახტომი 86 მეტრს უდრიდა.

● პორტ-ვილიამი (ონტარიოს პროვინცია), 27 დეკემბერი. როგორც ცნობილია, კანადაში ტურნეს ატარებს სსრ კავშირის ჰოკეისტთა II ნაკ-რები. გუშინ აქ იგი შეხვდა „ლეიკჰიდ ოლ სტარს" და გაიმარჯვა — 8:1.

● სენტ-ჯონსი (ნიუფაუნდლენდის პროვინცია), 27 დეკემბერი. საბ-ჭოთა ჰოკეისტების I ნაკრებმა კანადაში მეორე ამხანაგური საერთაშო-რისო შეხვედრაც გამანადგურებელი ანგარიშით მოიგო: 18:1. მან დაამარ-ცხა ადგილობრივი „სენტ-ჯონს კეპიტელზი".

„ლელოს" პრიზზე

# გატეხილი ყამირი

ბაკურიანი, 27 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). კარგა ხანია აქ ყოველი დეკემბრის დამლევს იმართება საქართველოს მოთხილამურეთა შეჯიბრება „სეზონის გახსნის პრიზზე", რომელიც გაზეთ „ლელოს" რედაქციამ დააწესა. ასპარეზობა მიზნად ისახავს რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებში ზაფხულში და შემოდგომით ამ სახეობაში ჩატარებული მუშაობის შემოწმებას. ფაქტიურად, ეს ტურნირი ზამთრის ახალი სეზონის პირველი შეჯიბრებაა, რასაც თვად მოთხილამურეები სამართლიანად ეძახიან „ყამირის გატეხვას".

ზამთარი წლეულს მეტისმეტად ძუნწობს. თოვლი დიდხანს არ ჩანდა და მოთხილამურეებს სპეციალური ვარჯიშის საშუალება არ ჰქონდათ. ალბათ, ესეცაა მიზეზი, რომ პირველმა სტარტებმა შეჯიბრების მონაწილეებს ბევრი ოფლი აღვრევინა. უთოვლობამ მსაჯთა კოლეგიაც საგონებელში ჩააგდო. თუ სამთო ტრასების გაწყობა შედარებით იოლად მოხერხდა, მორბენლებისთვის ხეირიანი თოვლი მხოლოდ ტყის ბილიკებზე იყო და დისტანციებიც ერთობ რთული გამოდგა.

როგორც ვიტყობინებოდით, I ჯგუფში საასპარეზოდ გუნდები გამოგზავნეს „დინამომ", „ბურევესტნიკმა", „განთიადმა" და „კოლმეურნემ" („შრომითი რეზერვების", „სპარტაკის", „ლოკომოტივის" საბჭოებმა და არმიელთა სპორტკლუბმა თავი ვერ მოაბეს ამ საქმეს), II ჯგუფში კი (ფიზკულტურული კოლექტივები) პრიზისთვის ბრძოლაში 6 გუნდი ჩაება — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, ბაკურიანის საბჭოთა მეურნეობა, კომკავშირულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი, ადგილობრივი საშუალო სკოლა, თბილისის ფეხსაცმლის გაერთიანება „ისანი" და რუსთავის „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის" ტრესტი.

ტურნირის პირველ დღეს ბრძოლა ერთდროულად ორ ფრონტზე გაჩაღდა: რბენასა და სლალომის ტრასაზე.

10 კილომეტრზე რბენის მონაწილე 40 ვაჟიდან დინამოელებმა ყველაზე უკეთ აიღეს სტარტი და მალევე დაწინაურდნენ — რბოლას სათავეში ჩაუდგნენ სპორტის ოსტატი ა. შილოვი და პირველთანრიგოსნები მ მიხაილოვი და ვ. კლიმოვიჩი. თანდათან აშკარა გახდა, რომ გამარჯვებულიც სწორედ მათგან უნდა გამოვლენილიყო. კლიმოვიჩმა დისტანციის მეორე ნახევარზე უკეთ იარა და 2 წამით აჯობა შილოვს, რომელმაც ფინიშამდე მისვლას 41 წუთი და 57 წამი მოანდომა. III იყო მიხაილოვი — 42.17,0.

ქალებს წინ მხოლოდ 3-კილომეტრიანი გზა ედოთ. მონაწილეები ცოტანი იყვნენ (10) და ვერც მაღალი შედეგებით დაიქადნიან. გამარჯვებულმა ს. მიაჩკოვამ („ბურევესტნიკი") აჩვენა დრო (18.55,0), რომელიც ოსტატებს 5 კილომეტრის გარბენისთვისაც კი არ სჭირდებათ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სპორტის ოსტატი ვ. გავა („განთიადი") — 19.01,0 და პირველთანრიგოსანი ნ. ბალაშვილი („ბურევესტნიკი") — 19.06,0

პირველ სტარტს მუხლმაგრად ვერც სამთო-მოთხილამურენი შეხვდნენ. საქართველოს ნაკრების წევრთა უმეტესობა ზედმეტი აღტყინებით იბრძოდა და ხშირად ამ გატაცების „მსხვერპლიც" ხდებოდა. განსაკუთრებით მოეცარათ ხელი ვაჟებს. 270-მეტრიან ტრასაზე (32 კარი, სიმაღლეთა სხვაობა 60 მ) რამდენიმე ოსტატი დაეცა და ათეულში ვერ მოხვდა. გამარჯვებისთვის მებრძოლ ოც სპორტსმენში პირველსავე ცდაზე დაწინაურდა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი, ბურევესტნიკელი სპორტის ოსტატი ბ. კახიანი. მან მეორე ცდაზეც ისახელა თავი, 2 ცდის ჯამში ყველაზე ნაკლები დრო (47,6 წამი) დახარჯა და პირველობაც დაისაკუთრა.

ქალთა სპეციალურ სლალომში (სიგრძე 220 მ, 26 კარი, სხვაობა 50 მ) თავიდანვე აშკარა იყო სპორტის ოსტატ ლ. გოგოლაძის („კოლმეურნე") უპირატესობა. მას მედგრად ებრძოდნენ დინამოელები ნ. ომიაძე და ე. გავა, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა— გაიმარჯვა გოგოლაძემ — 36,5. II ადგილზეა ომიაძე — 38,1, III — გავა — 38,6.

I ჯგუფის გუნდურ ჩათვლაში ერთპიროვნული ლიდერი ვერ გამოვლინდა, ვინაიდან „დინამოსა" და „ბურევესტნიკს" 3-3 ქულა აღმოაჩნდათ. III ადგილზეა „კოლმეურნე" (6,5 ქულა), რომელთანაც „განთიადი" 1 ქულით აგებს.

II ჯგუფში დაწინაურდა ფიზკულტურის ინსტიტუტი— 2 ქულა, II ადგილზეა ბაკურიანის საშუალო სკოლის კოლექტივი — 5,5 ქულა. III-IV ადგილს იყოფენ კომკავშირულ-გამაჯანსაღებელი ბანაკისა და საბჭოთა მეურნეობის გუნდები.

ფ. ნავერიანი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.





გეგეჭკორის რაიონის სოფელ ონოღიის საშუალო სკოლის (ფიზაღზრდის მასწავლებელი შ. მიქაია) მოსწავლეებს სპორტი უყვართ და ყოველდღიურად ვარჯიშობენ კიდეც. ფიზკულტურულ კოლექტივს ხელმძღვანელობს როგორც სპორტში, ისე სწავლაში მოწინავე მოსწავლე ო. წირქვაძე.

ნორჩმა ენთუზიასტებმა თავად მოაწყეს კალათბურთის, ფრენბურთის და ხელბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორები, ტანვარჯიშული ბაქანი. კალათბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკის, ხელბურთისა და შაშის სექციებში 120 მოსწავლეა ჩაბმული. სასკოლო ნაკრები გუნდები ხშირად გამოდიან რაიონულ ასპარეზობებში და წარმატებებსაც აღწევენ.

• • •

სურათებზე: ზევით — მეათეკლასელი მოსწავლე ფ. ქაჯაია ბაგირზე ცოცვისას; ქვევით — კალათბურთელთა შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო გ. ჯაყელისა.

## მეგობრის ხსოვნას



სპორტულ ჟურნალისტთა რიგებს უდროოდ გამოაკლდა ჩვენი ახალგაზრდა, ნიჭიერი თანამოკალმე იაკობ (იაშა) ილიას ძე ბერიძე.

იაშა ჯერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო, როცა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციაში დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი — 1965 წლიდან დღემდე — მუშაობდა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" გამსვლელ კორესპონდენტად ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

ი. ბერიძის წერილები და ნარკვევები სპორტზე მუდამ ცოცხლად და საინტერესოდ იკითხებოდა. ასევე სიცოცხლით სავსე იყო ჩვენი მეგობარი იაშა, რომელიც ცოტა ხნით შემოირბენდა ხოლმე ჩვენს რედაქციაში, მაგრამ სითბოსა და სიხარულს დიდი ხნით გვიტოვებდა. იაშა 30 წლისა არც იყო. მას დაუწერელი დარჩა ქართული სპორტის უანგარო სიყვარულით გამთბარი ბევრი კარგი სტრიქონი.

ძნელია დაიჯერო, რომ ჩვენს შორის აღარ არის გულწრფელი, ნაღდი მეგობარი, მხიარული, ენერგიული, სიცოცხლით სავსე კაცური კაცი.

გაზეთ „ლელოს"
კოლექტივი.

## პროფკავშირთა სპარტაკიადისთვის სამზადისის ნიშნით

### რამდენიმე სტრიქონით

✦ **ზესტაფონი**

რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის სპორტულ მოედანზე გაიმართა ხელბურთელთა 2 შესარჩევი მატჩი გზათა სამინისტროს საკავშირო პირველობაში მონაწილეობისთვის. ერთმანეთს ეთამაშნენ ზესტაფონის რკინიგზის მე-7 სკოლისა და თბილისის რკინიგზის სასკოლო განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის ვაჟთა , გუნდები. პირველ დღეს თბილისელებმა მოიგეს — 18:13, მეორე დღეს კი გამარჯვება ზესტაფონელ მოსწავლეებს ხვდათ — 23:19. ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით საკავშირო გათამაშების საგზური თბილისელებს ერგოთ.

ა. ბანუზრავა.

✦ **თერჯოლა**

დამთავრდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს თასის გათამაშება ფრენბურთში. ფინალში გავიდნენ ნახშირღელისა და ბარდუბნის კოლმეურნეობათა გუნდები. გაიმარჯვეს ნახშირღელელებმა.

ლ. ჯიშიაშვილი.

✦ **ცხაკაია**

აქ დამთავრდა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ხელბურთში. ასპარეზობდნენ მხოლოდ ჭაბუკთა გუნდები. I ადგილი დაიკავეს ადგილობრივი მე-2 სკოლის წარმომადგენლებმა. II ადგილზეა მე-4 სკოლის კოლექტივი, ხოლო III — 1-ლი სკოლის გუნდი.

ე. ბუბუნავა.

# შუქი და ჩრდილები

**რამდენიმე შენიშვნა დედაქალაქის ფეხბურთელთა პირველობაზე**

დამთავრდა თბილისის პირველობა ფეხბურთში, რომელიც სამ ჯგუფად მიმდინარეობდა. I ჯგუფში გამარჯვება და მასთან ერთად ქალაქის ჩემპიონის წოდება მოიპოვა მაუდ-კამვოლის კომბინატის გუნდმა (მწვრთნელი რ. მამაჯანოვი). II ადგილზე გავიდა ფეხბურთელთა კოლექტივი, რომლის მწვრთნელია ლ. გალუსტიანი. III საპრიზო ადგილი დარჩა თბილისის № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნის კოლექტივს (საზოგადოებრივი მწვრთნელი მ. გურგენიძე).

II ჯგუფში დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გუნდმა (მწვრთნელი რ. მამაჯანოვი), რომელმაც გაისად I ჯგუფში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მასთან ერთად საგაისოდ აქ ითამაშებს ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის გუნდიც (მწვრთნელი კ. ყრუაშვილი).

III ჯგუფში უძლიერესი იყო მსუბუქი ტაქსების № 3 კანტორის კოლექტივი (საზოგადოებრივი მწვრთნელი გ. ბალიაშვილი). ეს გუნდი და № 1 ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივი (მწვრთნელი ს. ცატუროვი) გაისად II ჯგუფში გამოვლენ.

ქალაქის ფეხბურთელთა ტურნირი წლეულს ორგანიზებულად, საინტერესოდ ჩატარდა, მაგრამ ზოგიერთ დარღვევას მაინც ჰქონდა ადგილი. გაუგებარი მიზეზებით ტურნირს ფინიშამდე გამოეთიშნენ ელექტროშემდუღებელი ქარხნის, ფეხსაცმლის სამოდელო ფაბრიკის, „ელექტროავტომატის", სამედიცინო ინსტიტუტის, 26 კომისრის სახელობის ქარხნის, სპორტკლუბ „ფეიქრის", ცხიმკომბინატის, პლასტმასის ქარხნის, მუსიკალური ფაბრიკისა და სხვა გუნდები. საინტერესოა, რა პასუხს გაგვცემენ აღნიშნული კოლექტივების ხელმძღვანელები, რომლებიც ასე უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ფეხბურთის განვითარებას თავიანთ კოლექტივებში.

ჩემპიონატის მსვლელობაში ადგილი ჰქონდა დისციპლინის დარღვევის ფაქტებსაც. ამ მხრივ განსაკუთრებით „გამოიჩინეს" თავი რ. ფანჯარაშვილმა (ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა), ზ. მიქანაძემ (აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა), გ. გოგიევმა (ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა), დ. ჯანოშვილმა (ყრუ-მუნჯთა საზოგადოება), თ. ჟორჟოლაძემ (ქარხანა „მიკროძრავა"), ხ. კასოევმა (სატრანსპორტო-საექსპლოატაციო კანტორა), ვ. ხითაროვმა (№ 1 ავტოსატრანსპორტო კანტორა), ა. მორგოშიამ, გ. დოლენჯიშვილმა (ორივენი — ფიზკულტურის ინსტიტუტი) და სხვ. ზემოჩამოთვლილ ფეხბურთელებს სხვადასხვა დანაშაულისთვის სათანადო სასჯელი დაედოთ.

დისციპლინის დარღვევის ფაქტები იმის მომასწავებელია, რომ ქალაქის პირველობაში მონაწილე ბევრ კოლექტივში აღმზრდელობითი მუშაობა სათანადო სიმაღლეზე არ დგას. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს „მთავართბილმშენის" კოლექტივის ფეხბურთელებმა ვ. კეკელიამ და პ. კახიანმა. მათ მსაჯს ნ. ამირაჯიბს ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ცხადია, კალენდარული შეხვედრა ამის გამო ჩაიშალა, მაგრამ აღმაშფოთებელი აქ მარტო ფეხბურთელთა საქციელი როდია. ამ კოლექტივის ხელმძღვანელებმა დუმილის პოზიცია ამჯობინეს და დამნაშავეთა მიმართ არავითარ ზომებს არ მიმართეს. კეკელიასი და კახიანის მიერ ჩადენილი ხულიგნური საქციელი არა მარტო სპორტული საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. აქ სათანადო ორგანოებიც უნდა ჩაერიონ.

ქების ღირსნი არიან მსაჯები, რომლებმაც მთელი რიგი მატჩები მაღალ სპორტულ დონეზე, კვალიფიციურად ჩაატარეს. ასეთ მსაჯთა შორის უნდა დავასახელოთ ლ. ლონდაძე, ნ. კონდახსაზოვი, ო. ჯაფარიძე, გ. გვანცელაძე, რ. გალუსტიანი, უ. ფურცელაძე და სხვ. მსაჯთა ერთი ჯგუფი უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა საქმეს, არ ცხადდებოდა შეხვედრებზე. ესენი არიან, ისინიც: თ. კაპანაძე, ზ. ალიხანოვი, ვ. გოგაშვილი, კ. ცხაკაია, რ. ჩალაბიანი, თ. სიბაშვილი და სხვ. ქალაქის ფეხბურთის ფედერაციამ დისციპლინის დამრღვევი მსაჯები სერიოზულად უნდა დასაჯოს. მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ წესრიგს იმ დიდმნიშვნელოვან ტურნირში, რომელსაც თბილისის ფეხბურთელთა ჩემპიონატი ეწოდება.

ი. ბოჟორაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

◆ **მოსკოვი, 28 დეკემბერი.** ვეტერანების წარმატებით აღინიშნა დედაქალაქის მახლობლად, პლანიორნაიას მიდამოებში მიმდინარე შეჯიბრება სათხილამურო სპორტში. 15 კილომეტრზე რბენაში პირველი იყო ი. უტრობინი (52.05,0), ხოლო 5 კილომეტრზე — ა. კოლჩინა — 18.43,0.

◆ **ბეირუთი,** 28 დეკემბერი. საბჭოთა ფეხბურთელების ოლიმპიურმა ნაკრებმა ლიბანში ბოლო მატჩი გამართა და კვლავ გაიმარჯვა. მან




დიდი ანგარიშით (6:1) მოუგო მასპინძელთა 4 უძლიერესი საკლუბო გუნდის ნაკრებს. ორ-ორი გოლის ავტორები არიან მუნტიანი და ხუციშვილი, თითოსი — აბდურაიმოვი და პილიპჩუკი.

◆ *მელბურნი, 28 დეკემბერი.* ავსტრალიის ჩოგბურთელები ამ უკანასკნელ 16 წელიწადში მეთოთხმეტედ დაეუფლნენ დევისის თასს — მსოფლიოს უძლიერესი გუნდის ამ არაოფიციალურ ემბლემას. ფინალში, როგორც ცნობილია, ისინი შეხვდნენ ინდოეთის ნაკრებს. გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა ავსტრალიელთა ლიდერმა რ. ემერსონმა, რომელმაც დაამარცხა რ. კრიშნანი — 6:0, 6:2, 10:8. ფინალური მატჩის საბოლოო ანგარიშია 4:1. ამრიგად, ავსტრალიელებმა 21-ედ მოიპოვეს „ვერცხლის სასალათე".

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია მწუხარებით იუწყება ფედერაციის წევრის

იაკობ ილიას ძე ბერიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 12916